

01/88

27.02.2018

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“


თავმჯდომარეს ეკატერინე სისაურს

ქალბატონო ეკატერინე,

განვიხილეთ თქვენი 12.02.2018 წლის N4/7848 წერილი და მოგახსენებთ, რომ შპს „გია ჭკუასელის კლინიკა“ და შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ (ს/კ 205250618), როგორც შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ (ს/კ 401945507) 100%-იანი პარტნიორული წილის მესაკუთრე, სრულად ვეთანხმებით საპრივატიზებო პირობების პირველ და მესამე პუნქტებს, სადაც საუბარია სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების დაწყებისა და ამ პროფილით ფუნქციონირების უზრუნველყოფის ვადებზე, თუმცა გვსურს წარმოგიდგინოთ ხსენებული პირობების მეორე და მეოთხე პუნქტებისაგან განსხვავებული წინადადება.

ჩვენს განზრახვაზე შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ კუთვნილ ფართში მრავალპროფილური კლინიკის გახსნასთან დაკავშირებით მოგახსენეთ 2018 წლის 08 იანვრის #01/03 წერილით და ვფიქრობთ მის სერიოზულობაში ნაწილობრივ შევძელით როგორც თქვენი, ასევე უწყებათაშორისი კომისიის დარწმუნება.

სრული სურათის შესაქმნელად, პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ყოფილი მესაკუთრეებისგან შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ შეძენისთანავე, ჩვენ მყისიერად დავიწყეთ უფუნქციო ქონებაში გარკვეული სარემონტო სამუშაოების განხორციელება, რის საშუალებასაც იძლეოდა ამ ეტაპისათვის შეძენილი ქონების არსებული მდგომარეობა და დავიწყეთ აღნიშნული ქონების ჯანდაცვის პროფილით საქმიანობაში გამოყენება. თქვენს ყურადღებას ასევე გავამახვილებთ პროექტის ფინანსურ მხარეზე: უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით, საპრივატიზებო პირობის შესასრულებლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული არანაკლებ 400 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება. შპს „გია ჭკუასელის კლინიკა“, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად, საკუთრებაში ფლობს ქონებას, რომლის საერთო რეგისტრირებული ფართია 1517,74 კვ.მ. გამოდის, რომ 1 კვ.მეტრი ფართის არსებული მდგომარეობიდან მაღალი სტანდარტების სამედიცინო დაწესებულებამდე გარემონტებისა და აღჭურვისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 260 აშშ დოლარის დახარჯვა, რაც ჩვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველაზე ოპტიმალური გათვლებითაც მინიმალური დანახარჯია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ იმავე შენობის მე-8 სართულზე განთავსებული 700,38 კვ.მ ფართის მაგალითს, სადაც მესაკუთრესთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ფუნქციონირებს „ჰელსიკორის“ ამბულატორიული სამსახური და ევროპული დონის სამედიცინო სერვისის ვთავაზობთ ყოველდღიურად 70-მდე პაციენტს. აღნიშნული ფართის მხოლოდ სარემონტო



სამუშაოებზე (ამბულატორიის ტექნიკური აღჭურვის გარეშე) „ჰელსიკორის“ მიერ დახარჯულია 427741,96 ლარი, რაც 1 კვ. მეტრზე 610,73 ლარს, ანუ დღევანდელი ოფიციალური გაცვლითი კურსით 246,63 აშშ დოლარს შეადგენს. დაგვეთანხმებით სტაციონარული ტიპის მრავალპროფილური, თანამედროვე სტანდარტების კლინიკის მოწყობა გაცილებით მეტ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. საქმეს ართულებს ისიც, რომ შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ კუთვნილ სარდაფის ტიპის ფართში თავმოყრილია მთლიანად შენობის წყალისა და კანალიზაციის დგარები. ამიტომ, აქ სარემონტო სამუშაოები განსაკუთრებული სენსიტიურობით უნდა იქნეს წარმოებული. საბოლოო ჯამში ვთლით, რომ ფართის სამშენებლო/სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების, მისი აღჭურვისა და სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების დაწყებისათვის საჭირო საინვესტიციო დაბანდების მოცულობა, მხოლოდ ვალდებულების შესრულების პერიოდში, 800 000 აშშ დოლარს გადააჭარბებს. დაგვეთანხმებით, ასეთ პირობებში დამატებით 200 000 აშშ დოლარის ოდენობის პირგასამტეხლოს დაკისრება, მძიმე ფინანსური ტვირთია ინვესტორისათვის და საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ პროექტის განხორციელებას, არამედ კლინიკის ფუნქციონირებასაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობად საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ვალდებული ვიქნებით წარმოვადგინოთ საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რაც არსებული მოცემულობით ნიშნავს, რომ მინიმუმ ორი წლის ვადით დამატებით უნდა „გავყინოთ“ 40 000 აშშ დოლარი.

ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილების მიღება გარკვეულწილად განაპირობა შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ წილის ყოფილი მფლობელების დამოკიდებულებამ საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. მაგრამ, გვინდა კიდევ ერთხელ გთხოვოთ დაუბრუნდეთ საკითხის განხილვას და გაითვალისწინოთ, რომ საინვესტიციო პროექტის შესრულების გარანტად დგას კომპანია, რომელმაც სამედიცინო საქმიანობა დაიწყო 2014 წლის ბოლოს და სამედიცინო სფეროში უკვე დღეს არის ერთ-ერთი სერიოზული სუბიექტი. არის არაერთი ნოვატორული მომსახურების ავტორი, დასაქმებული ყავს 230 თანამშრომელი და გეგმავს მინიმუმ 70 საშტატო ერთეულის დამატებას შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ ფართში სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების დაწყებიდან. ეს არის კლინიკა, რომელმაც დღიდან სამედიცინო საქმიანობის დაწყებისა გადასახადების სახით უშუალოდ გადაიხადა 3,4 მლნ. ლარზე მეტი, რომ არაფერი ვთქვათ არაპირდაპირ გადასახადებზე, რაც კლინიკის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ხარჯზე დაუბრუნდა ბიუჯეტს. ხაზგასასმელია ისიც, რომ კონკრეტულად შპს „გია ჭკუასელის კლინიკასთან“ დაკავშირებულ საინვესტიციო პროექტზე, 2017 წლის ზაფხულის შემდეგ განხორციელებული გვაქვს არც თუ უმნიშვნელო ინვესტიციები, კერძოდ: პაციენტისათვის უწყვეტი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით შენობაში დამატებით მოვაწყვეთ ინდივიდუალური სარგებლობის ევროპული



სტანდარტების ლიფტი, რისთვისაც დაიხარჯა 166 ათ. ლარზე მეტი; შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ 100% წილის რეგისტრირებიდან ორი კვირის ვადაში გავარემონტეთ დაახლოებით 170 კვ.მ ფართი და მიმდინარე წლის 29 იანვარს მოვიპოვეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) ნებართვა (მხოლოდ სარემონტო სამუშაოებზე დახარჯულია 33 ათ. ლარზე მეტი).

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით საინვესტიციო პროექტის სწრაფი და შეუფერხებელი განხორციელება, გრძელვადიან პერსპექტივაში მეტი ეკონომიკური ეფექტის მომტანია, ვიდრე ის ფისკალური ეფექტი, რასაც პირგასამტეხლოს დაკისრება გამოიწვევს. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში პროექტის სწრაფი რეალიზების დამატებითი გარანტიისათვის მოგახსენებთ, რომ „ჰელსიკორს“ პროექტის განსახორციელებლად დამტკიცებული აქვს საკრედიტო ხაზი 1 000 000 აშშ დოლარის ოდენობით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ უწყებათაშორისი კომისიის წინაშე, რათა რეკომენდირებულ იქნეს საპრივატიზებო პირობები შემდეგი სახით:

- არაუგვიანეს 31.12.2020 წლისა გადაცემულ ქონებაზე პირადად ან მესამე პირების მეშვეობით სამშენებლო/სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების განხორციელება, აღჭურვა და საპრივატიზებო ობიექტის სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების დაწყება;
- ხსენებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 800 000 (რვაასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით.
- ზემოაღნიშნული საპრივატიზებო პირობების შესრულებიდან, პირადად ან მესამე პირების მეშვეობით საპრივატიზებო ობიექტის სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების უზრუნველყოფა 10 (ათი) წლის განმავლობაში;
- მზად ვართ წარმოვადგინოთ განსახორციელებელი ინვესტიციის 10% ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (გარდა საპრივატიზებო ობიექტის 10 (ათი) წლის განმავლობაში სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების ვალდებულებისა) და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდას;
- შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ გათავისუფლება შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან სრულად, იმ პირობით რომ კომპანია შეასრულებს ზემოხსენებულ ვალდებულებებს..

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის.




თვალსაჩინოებისათვის წერილს თან ერთვის:

1. შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ გასარემონტებელი და გარემონტებული ფართის ფოტო მასალა (DVD-R);
2. საკრედიტო ხელშეკრულების ასლი ს/ს „ბაზის ბანკთან“ (6 ფურცლად);
3. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) ნებართვის ასლი (1 ფურცლად).

პატივისცემით,

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“-ს
დირექტორი



რუსუდან ლაგვილავა

შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“
დირექტორი

შმაგი ჭიოკაძე

12 იანვარი 2018წ.

ერთი მხრივ, სს "ბაზისბანკი" (შემდგომში წოდებული "ბანკი") და მეორე მხრივ შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი" (შემდგომში წოდებული "მსესხებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგნაირად:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკი მსესხებელს აძლევს სასყიდლიან კრედიტს სესხის ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული "კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ" გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში, მაშინ გენერალური ხელშეკრულების რეკვიზიტები მითითებულია ამ ხელშეკრულების "1.5" პუნქტში.
- 1.2. კრედიტის ათვისება მსესხებლის მიერ ხორციელდება რამდენიმე ეტაპად - ტრანშებად, ამასთან ტრანშების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს "2.1.1." პუნქტში დადგენილ მოცულობას. თუ განაცხადით მსესხებლის მიერ მოთხოვნილი თანხა, მთლიანად, ან ჯამურად სხვა ტრანშებთან ერთად, აღემატება "2.1.1." პუნქტში დადგენილ მოცულობას, ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად დააკორექტიროს განაცხადი და თანხა გასცეს დაშვებული ლიმიტის ფარგლებში.
- 1.3. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ტრანში ეწოდება ბანკის მიერ მსესხებლისათვის მობილიზებული საკრედიტო რესურსის ნაწილს, რომლის დაშვება (გაცემა) ხდება მსესხებლის კონკრეტული განაცხადის საფუძველზე; განაცხადით განსაზღვრულია მხოლოდ ტრანშის მოცულობა, ხოლო ყველა სხვა პირობა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
- 1.4. ტრანშის შედეგად ათვისებული თანხის ვადამდე დაფარვის მიუხედავად, არ ხდება კრედიტის განახლება და ტრანშის ხელახლა დაშვება.
- 1.5. 2014 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული "კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ" გენერალური ხელშეკრულება # 125472

მუხლი 2. კრედიტის მოცულობა, ხანგრძლივობა და საპროცენტო განაკვეთი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტის:
 - 2.1.1. მთლიანი მოცულობაა: 1000000 USD.
 - 2.1.2. ხანგრძლივობაა: 12/01/2018 -დან 12/01/2025მდე. რაც შეადგენს მიღებული კრედიტისა და მასთან დაკავშირებული სხვა გადასახდელების სრულად დაფარვის ვადას, მიუხედავად ტრანშის დაშვების თარიღისა.
 - 2.1.3. სარგებელი: თვეში: 0.5833% (რაც წელიწადში შეადგენს: 7%-ს). კრედიტზე დარიცხული სარგებლის ათვლა დაიწყება მსესხებლის სასესხო ანგარიშზე შესაბამისი ტრანშის ჩარიცხვის დღიდან; სარგებლის დარიცხვა ხდება არსებულ დავალიანებაზე.
 - 2.1.4. კრედიტის გაცემის საკომისიო: 3000 USD.
- 2.2. მსესხებლის მიერ მიღებულ კრედიტზე სარგებლის დარიცხვა მიმდინარეობს ყოველდღიურად, ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება თვეში 30 დღით.

მუხლი 3. კრედიტის გაცემისა და დაბრუნების პირობები;

- 3.1. ბანკს კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოეშვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მარეგისტრირებელ ორგანოში დასრულდება წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაცია (იგულისხმება ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სათანადო ორგანოში) და შესრულდება კრედიტის გაცემისათვის ბანკის მიერ დადგენილი ყველა წინაპირობა. აღნიშნულის მიუხედავად, ბანკის გადაწყვეტილების შემთხვევაში, კრედიტი შესაძლებელია გაიცეს ბანკის მიერ განსაზღვრული წინაპირობების შესრულებამდეც.
- 3.2. მსესხებლის მიერ კრედიტის აღების მიზანია: უძრავი ქონების შეძენა- რემონტი, დანადგარების შეძენა..
- 3.3. მსესხებელი ვალდებულია, კრედიტის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი გადაიხადოს იმავე ვალუტით, რითაც გაცემულია კრედიტი, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოცემული გრაფიკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (შემდგომში "გრაფიკი") შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. გრაფიკის შესრულებად ითვლება, გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადახდის დღეს, მსესხებლის ანგარიშზე გრაფიკით გათვალისწინებული თანხის არსებობა და ამავდროულად ანგარიშზე შეზღუდვის (საინკასო დავალება, ყადაღა და ა.შ.) არარსებობა. თუ ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს. თუ წინამდებარე ხელშეკრულებას არ ერთვის გადახდის გრაფიკი, მსესხებელი ვალდებულია კრედიტის ძირითადი თანხა გადაიხადოს კრედიტის ვადის ბოლოს, ხოლო მასზე დარიცხული სარგებელი გადაიხადოს კრედიტის გაცემიდან ყოველ 30-ე დღეს, თუ ეს დღე არ აღემატება კრედიტის ვადას, ხოლო თუ აღემატება, მაშინ გადახდა განხორციელდეს კრედიტის ვადის ბოლოს. თითოეული ტრანშის გაცემისთანავე ხდება გრაფიკის კორექტირება და თანხმდება გადახდის ახალი გრაფიკი, შესაბამისად, თითოეული ტრანშის შედეგად ათვისებული თანხის დაბრუნება რეგულირდება ერთიანი გრაფიკით.

3.4. მსესხებლის მიერ ბანკისთვის გადახდილი თანხით, მსესხებლის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში სადაზღვევო პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პირგასამტეხლო/საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა.

3.5. მსესხებელი უფლებას აძლევს ბანკს, ბანკში არსებული მისი ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით, ჩამოწეროს შესაბამისი თანხები (საჭიროებისას მოახდინოს თანხის კონვერტაცია ბანკში დადგენილი კურსით) და მიმართოს ისინი მსესხებლის დავალიანების (მათ შორის პირგასამტეხლოს, ჯარიმის, საკომისიოს) დასაფარავად (მათ შორის, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვადადმდე დასაფარად). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობა ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში.

3.6. მსესხებელი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის მიღების და განხილვის პროცედურა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მისი მიღება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში. ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების დღიდან.

3.7. გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს, პირგასამტეხლო მიმდინარე დავალიანების (ვადაგადაცილებული) თანხის 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.8. კრედიტს არ ერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა დასვენების/უქმე დღეს. ამ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო სამუშაო დღეს, ამასთან მსესხებელი აცნობიერებს, რომ შაბათი არის სამუშაო დღე, თუ იგი არ ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეს.

3.9. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაზე ადრე, წინსწრებით დაფარვისას/შემცირებისას ან რეფინანსირებისას (მსესხებლის მიერ საკუთარი ან/და მესამე პირის სახსრებით), ბანკი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრების/რეფინანსირების საკომისიო შემდეგი ოდენობით:

3.9.1. მსესხებლის საკუთარი ან მესამე პირის სახსრებით დაფარვისას, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0% (თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე პერიოდი, აღნიშნული საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ს, ხოლო, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე პერიოდი - 1%-ს).

3.9.2. კრედიტის რეფინანსირებისას, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2% (თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე პერიოდი, აღნიშნული საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ს, ხოლო, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე პერიოდი - 1%-ს).

3.10. ბანკის მიერ მსესხებლისთვის "3.9." პუნქტით გათვალისწინებული საკომისიოს დაკისრება არ მოხდება ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

3.10.1. თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი;

3.10.2. სს "ბაზიზბანკის" მიერ კრედიტის მთლიანად ან ნაწილობრივ რეფინანსირებისას;

3.10.3. სს "ბაზიზბანკის" მოთხოვნის საფუძველზე კრედიტის წინსწრებით დაფარვისას;

3.10.4. სს "ბაზიზბანკის" მოთხოვნით, საკრედიტო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის უარის შემთხვევაში კრედიტის წინსწრებით დაფარვისას ან რეფინანსირებისას.

3.11. კრედიტის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვა/შემცირება ან რეფინანსირება ხდება შემდეგი წესით:

3.11.1. მსესხებელი აკეთებს განცხადებას (წერილობით, ინტერნეტით ან ელექტრონული ფოსტით) ვალდებულების ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვის/შემცირების ან რეფინანსირების თაობაზე და განათავსებს ფულად სახსრებს ბანკში არსებულ შესაბამის ანგარიშზე.

3.11.2. სესხის დასაფარად/შესამცირებლად ან რეფინანსირებისთვის საკმარისი თანხის მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე სრულად არსებობის შემთხვევაში (ამავდროულად, ანგარიშზე არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის, საინკასო დავალება, ყადაღა და ა.შ.), მსესხებლის მოთხოვნის შესრულება ხდება ბანკის მიერ განცხადების მიღების დღესვე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით კრედიტის დაფარვა საჭიროებს გარკვეულ ვადას.

3.11.3. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით კრედიტის დაფარვა საჭიროებს გარკვეულ ვადას, ბანკი ახდენს მსესხებლის განცხადების განხილვას მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, მსესხებლის განაცხადის განხილვის პერიოდში ბანკის მიერ კრედიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ ხორციელდება.

3.11.4. თუ კრედიტის თანხა აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით ბანკისთვის წინასწარი შეტყობინების მიწოდება, კრედიტის წინსწრებით დაფარვამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე.

3.12. კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, თუმცა არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, მსესხებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია, განახორციელოს გრაფიკის ცვლილება ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით:

3.12.1. ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე, თავდაპირველი გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური შენატანების შემცირების გზით; ან

3.12.2. კრედიტის დაფარვისთვის დარჩენილი ვადის შემცირება, თავდაპირველი გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური შენატანების შენარჩუნების გზით.

3.13. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების "3.12." პუნქტით მინიჭებული უფლებით, ან თუ მსესხებლის მიერ წინსწრებით შემცირებული თანხის ოდენობა ნაკლებია 500 (ხუთასი) ლარზე, მსესხებელი ვალდებულია, წინსწრებით თანხის გადახდის მიუხედავად, განაგრძოს ბანკისთვის თანხების გადახდა არსებული გრაფიკის მიხედვით.

მუხლი 4. ინფორმაციის მიწოდება, დაზღვევა და სხვა ვალდებულებები; ვალდებულებათა შეუსრულებლობის შედეგები

4.1. მსესხებელი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას მიმდინარე საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ფინანსური თუ იურიდიული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4.2. ბანკი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, აკონტროლოს მსესხებელი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, კრედიტის მიზნობრივი გამოყენება და უზრუნველყოფაში არსებული ობიექტების მდგომარეობა. კონტროლის განხორციელების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, მსესხებელთან მიავლინოს საკუთარი თანამშრომლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

4.3. მსესხებელი ვალდებულია, შეუქმნას ბანკს, მსესხებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობა, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის, მისი შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შესვლის, მსესხებელის სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერებისა და შემოწმების ჩათვლით. შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ, მსესხებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

4.4. კონტროლის შედეგად მოპოვებული დოკუმენტები და ინფორმაცია კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება მესამე პირებისათვის გადაცემას, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ, მსესხებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

4.5. მსესხებელი ვალდებულია, ბანკის წერილობითი მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, წარუდგინოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია და საბუთები.

4.6. მსესხებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღისა) დააზღვევს უზრუნველყოფის საგანს და/ან სხვა რისკებს. ამასთან, თუ ბანკსა და მსესხებელს შორის სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული, დაზღვევა უნდა გაფორმდეს მსესხებლის კრედიტის ჯამური მოცულობის შესაბამის თანხაზე, ერთადერთ ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს ბანკი და დაზღვევა უნდა მოქმედებდეს ამ ხელშეკრულების ძალაში ყოფნის ვადით.

4.7. წინამდებარე ხელშეკრულების "4.6." პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის დამატებითი შეტყობინების გარეშე გაზარდოს კრედიტის სარგებელი თვეში 3%-მდე (წლიურ 36%-მდე). პირვანდელი საპროცენტო განაკვეთი(ებ)ი აღდგება, მსესხებლის მიერ "4.6." პუნქტებით გათვალისწინებული პირობის შესრულებისა და შესაბამისი თანხების გადახდის შემდეგ.

4.8. მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა უაქცეპტო წესით ყოველთვიურად ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მზღვევლის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, საჭიროებისას მოახდინოს თანხის კონვერტაცია შესაბამის ვალუტაში, ბანკში დადგენილი კურსით და მიმართოს სადაზღვევო პრემიის დასაფარავად, მსესხებლის ხარჯზე.

4.9. მსესხებელი ვალდებულია სს "ბაზისბანკში" გახსნილ მის მიმდინარე ანგარიშზე აწარმოოს მთლიანი საბანკო ბრუნვის მინიმუმ 90%, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში, ჯარიმის სახით გადაიხადოს ყოველ დარღვეულ თვეზე მიმდინარე ვალდებულების მინიმუმ 1% (ერთი პროცენტი).

4.10. მსესხებელი ვალდებულებას იღებს, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, არ იკისროს ფულადი ვალდებულებები მესამე პირის წინაშე, არ გაასხვისოს და გადასცეს საკუთარი ვალდებულებები შესასრულებლად მესამე პირებს.

4.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები, უზრუნველყოფის საშუალებებსა და მათთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, გადასცეს მესამე პირს, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, მესამე პირს გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებთან კავშირში მყოფი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

4.12. პირგასამტეხლოს/საკომისიოს /ჯარიმის გადახდა, არ ათავისუფლებს მსესხებელს ნაკისრი ვალდებულებების რეალად შესრულებისაგან.

4.13. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფას წარმოადგენს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი მსესხებლის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკის, გირავნობისა და/ან თავდებობის ხელშეკრულებ(ებ)ი. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, მსესხებელი ვალდებულია, თავად უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გასაფორმებელი ხელშეკრულებების დამოწმებისა და სათანადო ორგანოში რეგისტრაციის ხარჯების გადახდა.

4.14. მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს წინამდებარე ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის დამოწმების (მათ შორის, ნოტარიუსის მიერ) საფასურის შესაბამისი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საჭიროებისას, მოახდინოს თანხის კონვერტაცია შესაბამის ვალუტაში, ბანკში დადგენილი კურსით და მიმართოს დამოწმების საფასურის გადასახდელად.

4.15. შეუსრულებელ ვალდებულებებზე მსესხებელი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს, რომ მსესხებლის მიმართ არსებული ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკის მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის იძულების ღონისძიებები, მათ შორის (და არა მხოლოდ):

4.15.1. მსესხებლის კუთვნილ უძრავ-მძრავ ქონებებზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადება;

4.15.2. მსესხებლის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში;

4.15.3. მსესხებლის მიერ ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალიზაცია შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით. ამასთან, თუ უზრუნველყოფის საგან(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეალიზაციოდ მიქცევის შედეგად სრულად ვერ დაიფარება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის მოთხოვნა, ბანკი უფლებამოსილია, დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით აღსრულება მიაქციოს მსესხებლის ნებისმიერ სხვა ქონებაზე (მსესხებლის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე).

მუხლი 5. ინფორმაცია მსესხებლის შესახებ

5.1. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე:

5.1.1. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან/ბიუროებთან (შემდგომში ბიუროსთან) დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, გადასცეს ბიუროს მსესხებლის შესახებ ბანკის ხელთ არსებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ინფორმაცია, რის საფუძველზეც მსესხებელი აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ბანკის მიმართ დავალიანების მოცულობას, კრედიტის მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე იგივე ინფორმაციას თავდებობისა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფების შესახებ, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოებისა და სააღსრულებო პროცედურების შესახებ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას მსესხებლის შესახებ, რასაც მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ დადგენილი პროცედურები.

5.1.2. გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულ ინფორმაციას მსესხებლის შესახებ (მათ შორის, მსესხებლის საკრედიტო ისტორიას);

5.1.3. მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების/პირობის (მათ შორის კრედიტის დაბრუნების) შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით (ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით), ბანკისთვის საჭირო პერიოდულობით მოითხოვოს, მიიღოს და დაამუშავოს მსესხებლის/მისი უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის შესახებ მესამე პირთ(ებ)ან (მათ შორის საქართველოში მოქმედი საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ი და საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები) თუ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები, მათ შორის, მოახდინოს მათი გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის (სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შეთავაზებისთვის).

5.1.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ბანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ ისევე, როგორც მსესხებლის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი.

5.1.5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მსესხებლის/ მისი უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის შესახებ პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები.

5.2. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მისი დამატებითი თანხმობის გარეშე მსესხებლის თავდებ(ებ)ს ან/და პირ(ებ)ს, რომელთა ქონებითაც უზრუნველყოფილია მსესხებლის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება მიაწოდოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია ბანკის მიმართ მსესხებლის იმ ვალდებულებ(ებ)ის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილია კონკრეტულად ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმღები პირის თავდებობით ან/და ქონებით. აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): დავალიანების მოცულობას, ვადას,

საკრედიტო პროდუქტის დაფარვის ისტორიას, შესაბამის ხელშეკრულებებს და სხვა. ამ პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება არ განიხილება საბანკო საიდუმლოების გაცემად.

მუხლი 6. კრედიტის ვადამდე გამოთხოვა. ხელშეკრულების შეწყვეტის განსაკუთრებული პირობები

- 6.1. "6.3." პუნქტში მითითებულ ნებისმიერ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მსესხებლისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე და მოსთხოვოს მსესხებელს მთელი კრედიტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის სრული გადახდა.
- 6.2. მსესხებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების "6.1." პუნქტში აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ, შეტყობინებაში მითითებულ ვადაში დააბრუნოს კრედიტის ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ სარგებლისა და პირგასამტეხლოსთან/საკომისიოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 6.3. მსესხებელი აცნობიერებს და თანახმაა, რომ ბანკს შეუძლია ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ იქნება გადახდილი კრედიტის ძირითადი თანხის გრაფიკით განსაზღვრული ნაწილი და/ან მასზე დარიცხული სარგებელი და აღნიშნული ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული;
- 6.3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ იქნება გადახდილი კრედიტის ძირითადი თანხის გრაფიკით განსაზღვრული ნაწილი და/ან მასზე დარიცხული სარგებელი და აღნიშნული ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული;
- 6.3.2. მსესხებელი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკისრებს ვალდებულებებს მესამე პირების წინაშე და/ან დაირღვა ბანკის მიერ დაწესებული ფინანსური შეზღუდვა;
- 6.3.3. განადგურდება, დაზიანდება ან ღირებულება შემცირდება წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტს(ებს) (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან გაუარესდება თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსური მდგომარეობა.
- 6.3.4. მსესხებლის მიერ დაირღვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის მიზნობრიობა ან ამავე ხელშეკრულებით დადგენილი სხვა რომელიმე პირობა;
- 6.3.5. ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა მსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება არასწორი;
- 6.3.6. არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს საკრედიტო ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
- 6.3.7. მსესხებლის ან მისი თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარდაცვალების, უგზოუკვლოდ დაკარგულად, ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუუნარიანად გამოცხადების შემთხვევაში, ან თუ თავდების მიმართ დაიწყება სალიკვიდაციო წარმოება ან გაიხსნება გაკოტრების/გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (თუ თავდები იურიდიული პირია).
- 6.3.8. მსესხებელი არაჯერვონდა ასრულებს ბანკთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებათაგან თუნდაც ერთ-ერთს.
- 6.4. წინამდებარე ხელშეკრულების "6.3." პუნქტში შემავალი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თუნდაც ერთ-ერთი შემთხვევის არსებობისას, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტისა და მასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების დასაფარად.
- 6.5. ბანკს უფლება აქვს, "6.3." პუნქტში შემავალი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თუნდაც ერთ-ერთი შემთხვევის არსებობისას, ან საკრედიტო რისკის ზრდის შემთხვევაში, ან უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხარვეზის არსებობის (რაც საჭიროების შემთხვევაში, ხელს შეუშლიდა ბანკის მიერ აღნიშნული უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ის ხარჯზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას) შემთხვევაში, აღარ დაუშვას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მსესხებლის დაფინანსება და შეწყვიტოს ტრანშების გაცემა.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

- 7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯერვონი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო სასაბაობის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ ინსწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.
- 7.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), ხელისუფლების მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებას, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზეც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.
- 7.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 7.4. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორს მაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.
- 7.5. თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

მუხლი 8. შეტყობინება

8.1. მხარეთა შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი (ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი - www.basisbank.ge; ინტერნეტ-ბანკი) ან ტელეფონი (მათ შორის, სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობაილ ბანკი).

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მსესხებელი თანახმაა შეტყობინება მიიღოს "8.1." პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით.

8.3. მსესხებელი ვალდებულია ცვლილების განხორციელებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, წერილობით აცნობოს ბანკს სახელი/გვარის (სახელწოდების), საპასპორტო მონაცემების (რეგისტრაციის მონაცემების), მისამართის (იურიდიული/ფაქტიური) და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ) ცვლილებების შესახებ.

8.4. ბანკი პასუხს არ აგებს მსესხებლის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა

9.1. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული - მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ერთი პრიმა ნაწილის შესაბამისად.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და/ან ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

10.5. ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი: სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი", 0103, ქ.თბილისი, ქ. წამებულის გამზირი #1. ტელეფონი: 2 922-922; სკ 203841833

გენერალური დირექტორი: დავით ცაავა

მსესხებელი: შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი" (ს/კ: 205250618, მისამართი: თბილისი თევდორე მღვდლის ქ. 13)

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"ს დირექტორი: რუსუდან ლაგვილავა პირადი/პასპორტის N 01005000775

დამტკიცებულია საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2010 წლის 21 12 № 420/ნ ბრძანებით



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო

სანებართვო მოწმობის დანართი № 005085

სანებართვო მოწმობის № 000710

იურიდიული/ფიზიკური პირი შ.პ.ს. "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი
კლინიკა ჰელსიკორი"

სამედიცინო საქმიანობის სახე გადაუდებელი სამედიცინო დახმარება -
EMERGENCY

სააგენტოს უფროსი



სანებართვო მოწმობის დანართი გაცემული
სააგენტოს უფროსის 2018 წლის 29.01
№02-147/თბრძანების საფუძველზე.

სანებართვო მოწმობის გარეშე სანებართვო მოწმობის დანართს ძალა არა აქვს.

დამკვეთი სამედიცინო საქმიანობის
სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
დამაშვალბელი: შპს "კაბადონი"
სფს-ს რეგისტრაციის №05-3053